ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა გორდულაძე

წევრები:

თამთა კამკამიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნინო გოგორელიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გურამ ბურდილაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246994409

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქობულეთი
ფაქტობრივი მისამართი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხალა
საფოსტო ინდექსი	6200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/460
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khala@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 25 0000549327 20/05/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	23-24 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხალა (ერთი)
2	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხალა (ერთი)
3	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხალა (ერთი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 23 და 24 ივნისს სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით" განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სკოლის თვითშეფასება, მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტები და შეიმუშავა დამატებით წარსადგენი დოკუმენტებისა და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, ასევე ვიზიტის წარმართვისთვის - დღის წესრიგი, რომელიც დაწესებულებას ვიზიტამდე გაეგზავნა. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა ორი ზოგადი განათლების

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტითა (ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს) და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით განისაზღვრა. ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები იმყოფებოდნენ სკოლაში, ხოლო საგნობრივი ექსპერტები ვიზიტში მონაწილეობდნენ დისტანციურად. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები ადგილზე გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, მასწავლებლებს, საქმისმწარმოებელს, სპეციალურ მასწავლებელს, ბიბლიოთეკარს, ბუღალტერს და სხვა პირებს. საგნობრივი ექსპერტები დისტანციურად (Microsoft Teams-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით) შეხვდნენ საგნის მასწავლებლებს, ხარისხის უზრუნველყოფის წევრი ექსპერტი მოდერაციას უწევდა შეხვედრებს, ხოლო დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ესწრებოდა ქართულის, მათემატიკის, მე და საზოგადოებისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებთან შეხვედრებს და ჩართული იყო გასაუბრების პროცესში. მან ასევე განახორციელა I, II, III, IV კლასების ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კურიკულუმების რევიზია, ხოლო შეფასების ეტაპზე ითანამშრომლა საგნობრივ ექსპერტებთან, მისი მოსაზრებები და რჩევები გათვალისწინებულია საგნობრივი ექსპერტების მიერ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასებისას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ექსპერტთა გუნდს სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა და პროცესი სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად საქმეზე ორიენტირებულ გარემოში წარიმართა.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით. სკოლას თვითშეფასების კითხვარში გამოკვეთილი ჰქონდა ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამო საკითხები, რომლებიც შეფასებული ჰქონდა მეტწილად შესაბამისად, თუმცა **კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება** სტანდარტთან შეუსაბამო აღმოჩნდა. კერძოდ, **ინდიკატორი 3.4.1.1**. (სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა)

სკოლა **ვერ** უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რადგან არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლის მიერ თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილ

შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია შეუსაბამობის აღმოფხვრის - საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების - ვადები, თუმცა არაფერია ნათქვამი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ამ მიმართულებით სკოლას წარმოდგენილი აქვს 2021 წლის 15 აპრილის N134 მიწერილობა, რომელიც შედგენილია სკოლის შენობის დეტალური სახანძრო - ტექნიკური შემოწმების საფუძველზე. მიწერილობით სკოლას დაეკისრა სავალდებულო ღონისძიებების შესრულება, რომელთა უმრავლესობა სკოლამ შეასრულა. სკოლის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით ვერ შესრულდა შემდეგი ვალდებულებები: სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციისა და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემების დამონტაჟება. შესაბამისად მიწერილობით განსაზღვრული ვადები არ არის ვალიდური.

სტანდარტთან შეუსაბამოა **კომპონენტი 3.5.** კერძოდ, **ინდიკატორი N 3.5.1.4** სკოლა ქმნის ინკლუზიურ გარემოს არ არის დაკმაყოფილებული. კერძოდ, სპორტულ დარბაზში ჩასასვლელი კიბეები არ არის ადაპტირებული, კლას-კაბინეტები და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია მეორე, მესამე, მეოთხე სართულებზე და არ არის ხელმისაწვდომი შშმ პირისთვის.

სტანდარტთან შეუსაბამოა **კომპონენტი 3.6**. კერძოდ **ინდიკატორი N 3.6.3.5** (ვებ გვერდი / ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია).
skolebi.emis.ge -ზე სკოლის შესაბამისი გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ, მათ შორის საკონტაქტო ინფორმაციას. გვერდზე განთავსებულია მხოლოდ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. ინდიკატორით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია სკოლის გვერდზე არ იძებნება.

სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, ჯგუფის ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და საბოლოოდ, **ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ინდიკატორი N 3.5.1.4** 4. **შეფასდა ნაწილობრივად შესაბამისად, ინდიკატორი N 3.6.3.5 მეტწილად შესაბამისად.**

გამოდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, I,II, და IV სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისად, ხოლო III სტანდარტი - ნაწილობრივ შესაბამისად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლა საკმაოდ აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებით და თითოეული მისი აქტივობა სკოლის მისიის შესაბამისია და მიემართება ხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. კერძოდ,

1. მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური მუშაობით სკოლაში ჩამოყალიბებულია სპორტული კლუბები და ეწყობა სასკოლო პირველობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სკოლაში ფუნქციონირებს საფეხბურთო კლუბი ,,ხალა“, რომლის წევრებიც სკოლის სახელით მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში.
2. დაწყებით საფეხურზე წარმატებით ფუნქციონირებს მოსწავლეთა თეატრალური კლუბი ,,მერცხლები“. სკოლა 2023 წელს ბავშვთა და მოზარდთა თეატრალურ ფესტივალში ,,პირველი ავტოგრაფი“ მონაწილებდა სპექტაკლით ,,ჩხიკვთა ქორწილი“ და საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის დაჯილდოვდა.
3. კოლეჯ ,,ბლექსთან“ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე VII-XI კლასების მოსწავლეებმა სკოლაში გაიარეს პროფესიული უნარების განვითარების კურსი გიდის პროფესიასა და სამკერვალო საქმეში.
4. 2023 წელს სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,ჭკვიანი ფერმა ჩემს სკოლაში“, პროექტის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სააგენტოს დაფინანსებით სკოლის ეზოში აშენდა სათბური, მოეწყო ხელოვნური მორწყვის სისტემა მიკროკონტროლერის გამოყენებით, რომელშიც სკოლას დახმარება გაუწია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა. პროექტი მდგრადია და მისი მიმდინარე მიზანი მსხლის ენდემური ჯიშების მოძიება და გამრავლებაა. მსხლის პირველი ნერგები უკვე გამოყვანილია და ისინი მოსწავლეებს საკუთარ საკარმიდამოში გასაშენებლად გადაეცათ. სათბურში მოსწავლეებს, ასევე, გამოჰყავთ ბოსტნეულის ჩითილები. აკვირდებიან სათბურის პირობებში

ბოსტნეული კულტურების სხვადასხვა დაავადებების გამოვლენას, სწავლობენ დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდებს.

5. სკოლაში წლებია ისწავლება არჩევითი საგანი ,,მეწარმეობის საფუძვლები", მიღებული ცოდნის საფუძველზე მოსწავლეები წერენ ბიზნეს გეგმას და ქმნიან მოსწავლეთა კომპანიებს.. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა კომპანია ,,მზისამ", რომელმაც მეორეული მასალისგან ჩანთები შეკერა, მონაწილეობა მიიღო 2025 წლის სამეწარმეო ფესტივალში. ასევე, აგროკლუბის წევრებმაც შექმნეს მოსწავლეთა კომპანია და გასაყიდად ბოსტნეულის ჩითილები გამოიყვანეს
6. სკოლაში აქტიურად მუშაობს ეკოკლუბი ,,გარემოს მცველები". 2025 წელს ეკოკლუბის წევრებისგან დაკომპლექტებულმა სკოლის გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა საერთაშორისო პროექტის ,,რეგიონები და ხალხი სურსათის უვნებლობისათვის" ფარგლებში გამოცხადებულ სასკოლო ოლიმპიადაში და ტექნიკით დაჯილდოვდა.
7. სკოლა სარგებლობს კურსდამთავრებულთა დიდი მხარდაჭერით, ხოლო 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს ოფიციალურად გამოცხადდა ხალას საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნა, რომელზეც სკოლა დიდ იმედს ამყარებს, რადგან კლუბის წევრებთან უკვე აქვთ გარკვეულ მხარდაჭერაზე შეთანხმებები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს: 1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან; - 2025 წლის 22 ოქტომბერი. 2. მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ უწყებას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ - 2026 წლის 30 აპრილი. 3. მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური. -2025 წლის 22 მარტი.
ინდიკატორი N 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის ადაპტაცია შშშმ პირთათვის. – 2027 წლის 30 ივნისი.

ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი / ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს skolebi.emis.ge -ზე სკოლის შესაბამისი გვერდზე 3.6.3.5 ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა ინფორმაციის განთავსება. - 2025 წლის 15 სექტემბერი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სასურველია, სკოლამ ხედვაში მეტად გაზომვადი მიზნები ასახოს. მაგ. განსაზღვრულ ვადაში კურსდამთავრებულთა რამდენი % შეძლებს შრომის ბაზარზე დამკვიდრებას, ან დაინტერესდება სოფლის მეურნეობით.
ინდიკატორი N1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სასურველია, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლამ განათავსოს შენობის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას.
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სასურველია, სკოლამ დაგეგმოს/დააზუსტოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელსაც კონკრეტულ სასწავლო წელს განახორციელებს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
N 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.	სასურველია, სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, სკოლამ შექმნას ერთიანი დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნება სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და მოვალეობები.
ინდიკატორი N 3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	სასურველია, სკოლამ დოკუმენტით განსაზღვროს შემფასებელი პირები(ვინ ვის აფასებს) და შემუშავებული ჰქონდეს შეფასების ფორმები. მაგალითად, პერსონალის შეფასების კითხვარი, დაკომპლექტებული ისეთი კითხვებით, რომლითაც შესაძლებელი იქნება რეალისტური შეფასების წარმოება.
ინდიკატორი N 3.2.1.5.	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.	სასურველია, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით განსაზღვროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი.

ინდიკატორი N3.3.2.1	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.	სასურველია, სკოლამ სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით შეიმუშავოს კითხვარები. (მაგალითად, ადმინისტრაციის მუშაობის შეფასების შესახებ პერსონალისთვის, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით მშობლებისთვის და სხვა).
ინდიკატორი N 3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	სკოლის დოკუმენტით ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება" - მუხლი 5 - ინფორმირებულობის უზრუნველყოფა - განსაზღვრულია ის ტელეფონის ნომრები, რომლებიც სკოლაში თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული. სასურველია, სკოლამ შეასრულოს აღნიშნული მუხლის მოთხოვნა.
ინდიკატორი N 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა / ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1 **კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე **გეოგრაფიის** საგნობრივ კურიკულუმებში ყველა შუალედური მიზნის/დავალების იდეის გრაფაში მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, მაგ. ეს შეიძლება იყოს პოსტერი, სტატია, დღიური, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. მაგ. გეოგრაფიის არცერთ კურიკულუმში შუალედური მიზნის გრაფაში დაკონკრეტებული არ არის შემოქმედებით პროდუქტი. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ

		გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.
ინდიკატორი *N 2.1.2.2* **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი წლიური პროგრამების ამსახველ დოკუმენტში-კურიკულუმში ისევე ზუსტად აისახოს თემებისა და სამიზნე ცნებების მჭიდრო კორელაცია საგნობრივ სტანდარტთან, როგორც ეს არის საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, **დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოების მე-3, მე-4 კლასების და „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასის** საგნობრივ კურიკულუმებში საკითხების/შუალედური მიზნების გასწვრივ მითითებული იყოს თუ რომელი გრძელვადიანი მიზანი მუშავდება, რათა სასწავლო პროცესში უზრუნველვყოთ სწავლის შედეგების მიღწევა. აღნიშნულ კურიკულუმებში მოცემულია საკითხები, შუალედური მიზნები და არ არის კონკრეტულად მითითებული თუ რომელი საკითხი/შუალედური მიზანი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს ამუშავებს. სასურველია, საგან ,,მე და საზოგადოებაში” მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმები, კერძოდ კი სამიზნე ცნებები შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ სტანდარტთან. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, მე-4-5-6 კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში გამოიკვეთოს სავალდებულო თემატური ბლოკები და შემოქმედებითი დავალების პირობა და იდეა ერთ პირობაში გაერთიანდეს ისე, რომ შესასწავლ თემატურ ბლოკს, თემას, ძირითად საკითხსა და კონტექსტ მაგალითებთან მოვიდეს შესაბამისობაში.

		სასურველია, მე-7-8 კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში გამოიკვეთოს სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და შემოქმედებითი დავალების პირობა და იდეა ერთ პირობაში გაერთიანდეს ისე, რომ შესასწავლ თემატურ ბლოკს, თემას, ძირითად საკითხსა და კონტექსტ მაგალითებთან მოვიდეს შესაბამისობაში. სასურველია, მე-10 კლასის მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში გამოიკვეთოს ორი სავალდებულო თემა თავისი გრძელვადიანი მიზნებითა და შემოქმედებითი პროდუქტით. **სახელმწიფო ენა** სასურველია, სამიზნე ცნებებთან ერთად ყველგან მითითებული იყოს ქვეცნებებიც, ასევე მეტი ყურადღება მიექცეს კურიკულუმის თითოეული სვეტის ფუნქციას.
ინდიკატორი *N 2 .1.2.3* **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული**	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**მათემატიკა** სასურველია, კურიკულუმებში უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი რესურსები არამხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, იმ საკითხებისთვისაც, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე.

სწავლის შედეგების მიღწევას		
ინდიკატორი *N 2.1.2.5* **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, საგან **ბუნებისმეტყველებაში, მე-5-6 კლასებში** წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გარდა შემუშავდეს, კონკრეტულ საკითხზე/ დავალებაზე მორგებული, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია **დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოებისა და „ჩვენი საქართველოს“** საგნების ფარგლებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/ დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, შეიქმნას **დაწყებითი საფეხურის 1-ელ-მე-4-5 კლასებისათვის** კონკრეტული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და 5-6 კონკრეტული თემებზე მორგებული კონკრეტული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასურველია, შეიქმნას **საბაზო საფეხურის მე-7-8-9 კლასებისათვის** ორივე საგნისთვის კონკრეტული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული იქნება საგნის სტანდარტი, თემები და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები. **სახელმწიფო ენა**

		სასურველია, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დაკონკრეტდეს, სამიზნე ცნებასა და შედეგებთან მიმართებით რა შემთხვევაში დაიმსახურებს მოსწავლე ამა თუ იმ ქულას. სასურველია, **I-IV კლასებში ყველა საგანში** თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი N 2.2.1.1 **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ 2025-2026 წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და ყოველწლიურად შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; სასწავლო რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანაცვლება; ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება.
ინდიკატორი N 2.2.2.2 **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო**	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ყოველწლიურად ახორციელებდეს დამხმარე რესურსების შეფასებას/შერჩევას მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებასა და მიზანმიმართულობას.

რესურსის ვალიდაციას		
ინდიკატორი N 2.2.2.3 **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**		**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენების ხელშესაწყობად და სიღრმისეული სწავლებისთვის რეაქტივების მარაგის შევსება, გამწოვი სისტემის დამონტაჟება, სამუშაო მაგიდებზე დამცავი მუშამბების გამოყენება.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით. სკოლას თვითშეფასების კითხვარში გამოკვეთილი ჰქონდა ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამო საკითხები, რომლებიც შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით შეფასებული ჰქონდა მეტწილად შესაბამისად, თუმცა **კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება** იყო სტანდარტთან შეუსაბამო. კერძოდ, **ინდიკატორი 3.4.1.1**. (სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას,

რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა)

სკოლა არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ზოგიერთი შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები. კერძოდ, სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების დასრულების ვადად მითითებული აქვს 2025 წლის 22 ოქტომბერი, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების ვადად - 2026 წლის 22 მარტი. დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. სადაც წარმოდგენილია ინდიკატორით გათვალისწინებული სხვა შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა, კერძოდ, უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვის ვადად გეგმით განსაზღვრულია 2026 წლის 30 აპრილი. ექსპერთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით **ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა მეტწილად შესაბამისად.**

სტანდარტთან შეუსაბამო იყო **კომპონენტი 3.5.** კერძოდ, **ინდიკატორი N 3.5.1.4** 4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. კერძოდ, სკოლა არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის, ხალას სკოლას ჰყავს ე.წ. ,,შუშის ბავშვი" (ს.ტ.), ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვი (ნ. კ.), რომელსაც უჭირს ოთხსართულიან შენობაში კიბეებზე გადაადგილება და მოსწავლე, რომელმაც წვივის დაგრძელების ოპერაცია აქვს გაკეთებული (ლ.ქ.), მას სრული დატვირთვით ფეხის დადგმა და კიბეებზე გადაადგილება არ შეუძლია. ხალას საჯარო სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია: ბიბლიოთეკა, სასადილო, რესურსოთახი, სამედიცინო ოთახი, მანდატურის ოთახი, სპორტული დარბაზი და საპირფარეშოები. საკლასო ოთახები, კაბინეტები (ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის, მუსიკის) და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე. ეტლით მოსარგებლე პირისათვის მე-2,3,4 სართულები მიუწვდომელია. ასევე, მიუწვდომელია პირველ სართულზე არსებული სპორტული დარბაზი, რომელში მოსახვედრად კიბის ჩავლაა საჭირო. სკოლა იაზრებს გარემოს ადაპტაციის აუცილებლობას და დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ მან წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 2027

წლის 30 ივნისი, ხოლო იმის დასტურად, რომ ამ მიმართულებით უკვე დაიწყო მოქმედება, წარმოადგინა წერილი ქობულეთის რესურცენტრის უფროსის მიმართ, სადაც ითხოვს შუამდგომლობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსთან ხალას საჯარო სკოლის შენობისათვის ლიფტის მონტაჟისა და შენობის პირველ სართულზე სპორტულ დარბაზში ჩასასვლელის შშმ პირთათვის ადაპტირების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით **ინდიკატორი N 3.5.1.4 შეფასდა ნაწილობრივად შესაბამისად.**

სტანდარტთან შეუსაბამო იყო **კომპონენტი 3.6**. კერძოდ **ინდიკატორი N 3.6.3.5** (ვებ გვერდი / ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია).
skolebi.emis.ge -ზე სკოლის შესაბამისი გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ, მათ შორის საკონტაქტო ინფორმაციას. გვერდზე განთავსებულია მხოლოდ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. ინდიკატორით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია სკოლის გვერდზე არ იძებნება. ამასთან დაკავშირებით სკოლამ შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 15 სექტემბერი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი **ინდიკატორი N 3.6.3.5 შეფასდა მეტწილად შესაბამისად.**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომლებიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
კერძოდ, სკოლის მისია - უსაფრთხო სოციო-კულტურულ გარემოში აღზარდოს მაღალი ადამიანური ღირებულებების მქონე პიროვნება, რომელსაც ექნება შესაბამისი კომპეტენცია, რომ უპასუხოს თანამედროვე დინამიური სამყაროს გამოწვევებს და გააძლიეროს სოფელი - ასახავს სკოლის ფუნდამენტურ ძირითად დანიშნულებას, მიზანზეა ორიენტირებული და ითავალისწინებს თემის საჭიროებას.
ხედვა: უახლოესი 7 წლის პერიოდში ხალას საჯარო სკოლა შეძლებს: მოსწავლეებს მისცეს ხარისხიანი განათლება, რითაც შეძლებენ უწყვეტ განვითარებას, საკუთარი ინიციატივების ხორცშესხმას, საგანმანათლებლო სივრცესა და შრომის ბაზარზე დამკვიდრებას; ჩამოაყალიბოს ისინი კულტურულ და ბუნებრივ გარემოზე მზრუნველ, პირადი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად (ეროვნული და გლობალური მოქალაქეობა), ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ ორიენტაციას, განუვითაროს სამეწარმეო უნარები, გაუჩინოს ინტერესი სოფლის მეურნეობისადმი - განსაზღვრავს სკოლის განვითარებას შვიდწლიან პერიოდში, რომლის განხორციელების შემთხვევაში სკოლა ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრული ზნეობრივი და მორალური ღირებულებების მქონე, ღირსეული ცხოვრებისათვის მომზადებული კონკურენტუნარიანი მოქალაქის აღზრდას.

1.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ ხედვაში მეტად გაზომვადი მიზნები ასახოს. მაგ. განსაზღვრულ ვადაში კურსდამთავრებულთა რამდენი % შეძლებს შრომის ბაზარზე დამკვიდრებას, ან დაინტერესდება სოფლის მეურნეობით.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიაში პირდაპირ ასახულია, რომ სკოლას სურს უსაფრთხო სოციო-კულტურულ გარემოში აღზარდოს მაღალი ადამიანური ღირებულებების მქონე პიროვნება, რაც თავისთავად სკოლაში სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და

განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს შექმნას განაპირობებს, ხოლო სკოლის ხედვით განსაზღვრულია, რომ სკოლა ხელს შეუწყობს მოსწავლეების პირადი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, რაც სკოლას მისიის განხორციელებაში ხელს შეუწყობს.

1.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ 2025 წლის 28 მარტის N01-03/37 ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ძირითადი პრინციპები, რომელსაც სკოლა სტრატეგიული დაგეგმარებისას იცავს. კერძოდ, თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება.

სკოლაში სტრატეგიული დაგეგმარებაზე მუშაობის მიზნით 2025 წლის 28 მარტის N 01-03/39 ბრძანებით შექმნილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში წარმოდგენილი არიან სკოლის დირექციის, ადმინისტრაციისა და საგნობრივი კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობლებისა და თემის წარმომადგენლები. მათ აღნიშნული ბრძანებით დაევალათ მისიის ხედვის ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაწერილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების მექანიზმები. ასევე მეთოდოლოგია მოიცავს შექმნილი დოკუმენტების გაზიარების სქემას. სკოლა იტოვებს უფლებას ყოველ კონკრეტულ დოკუმენტთან ან პროცესთან დაკავშირებით ინდივიდუალურად მიიღოს გადაწყვეტილება გაზიარებისათვის საკომუნიკაციო არხების შერჩევასთან დაკავშირებით. აღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა მშობელთა გაერთიანებული კრების ოქმი.

1.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე სკოლების პორტალზე და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე (დამაგრებული პოსტის სახით), რაც დოკუმენტების საჯაროდ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

1.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლამ განათავსოს შენობის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წ. 16 მარტის N49/ნ ბრძანებით სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლას საერო პირის სეიდ გვარიშვილის სახელი მიენიჭა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებაში ცვლილება შევიდა. ზემოთ აღნიშნული ბრძანებების შესაბამისად სკოლის სახელწოდებაა- **სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა**-შესაბამისად სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

1.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/39;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
- ხალას საჯარო სკოლაზე სახელის მინიჭების ბრძანება;
- პუბლიკაციები სოციალურ მედიაში;
- Skolebi.emis.ge -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტები;
- მშობელთა გაერთიანებული კრების ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ 2025 წლის 28 მარტის N01-03/37 ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ძირითადი პრინციპები, რომელსაც სკოლა სტრატეგიული დაგეგმარებისას იცავს. კერძოდ, თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება.

სკოლაში სტრატეგიული დაგეგმარებაზე მუშაობის მიზნით მეთოდოლოგიის შესაბამისად იქმნება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში წარმოდგენილი არიან სკოლის დირექციის, ადმინისტრაციისა და საგნობრივი კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობლებისა და თემის წარმომადგენლები. ჯგუფს ევალება ხედვის ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებით. ინფორმაციის მიღება ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებისგან. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სკოლის მიერ შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების/ჩატარებული კვლევების ანალიზი. მეთოდოლოგიაში, ასევე, აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

1.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია. შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს, მაგ. აღზარდოს მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული თავისუფალი და პასუხისმგებელი, კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის უნარების, ჯანსაღი ღირებულებების მატარებელი ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმალური შეფასება და ცხოვრებაში რეალიზება. მიზნების მისაღწევად სკოლა გეგმავს მუშაობას რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით, როგორიცაა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება და სხვ. თითოეულ მიმართულება კი იყოფა ამოცანებად, რომელთა გადაწყვეტა სკოლას მიიყვანს დასახულ მიზნებთან.

1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის 08 აპრილის N 01-03/41 ბრძანებით და მოიცავს 2024-2025 სასწავლო წლის პერიოდს. ის გაწერილია სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით და მოიცავს-სტრატეგიულ მიზნებს და შესაბამის ამოცანებს, გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან და ეფუძნება სკოლის თვითშეფასებას.

1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. მაგ, ერთ-ერთი ამოცანის - სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა - შესაბამისი აქტივობაა - გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემის დანერგვა, თუმცა გეგმის მოქმედების პერიოდში, კერძოდ 2024-2025 სასწავლო წელს კონკრეტულად რა აქტივობებს განახორციელებს სკოლა არ არის დაზუსტებული.

1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ დაგეგმოს/დააზუსტოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელსაც კონკრეტულ სასწავლო წელს განახორციელებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლებიც სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშია აღწერილი, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპითაა შექმნილი. მონიტორინგის პროცესს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების შესრულება/შეუსრულებლობას, მოსდევს შეფასების პროცესი, რომელიც პროცესს ხარისხობრივად აკონტროლებს. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სკოლას დადგენილი აქვს მეთოდოლოგიით სქემა, რითაც მოახდენს მონიტორინგის შედეგების ანალიზს. აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

1.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 28 მარტის N01-03/37 ბრძანებით. შესაბამისად, სკოლას ვიზიტის პერიოდისთვის არ აქვს განხორციელებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, თუმცა მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა

გეგმავს განახორციელოს სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრიელების შუაში და ბოლოს. გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესები განახორციელოს მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა ცნობილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად, შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიში არ აქვს გამოქვეყნებული, თუმცა მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროებას სკოლის ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა გეგმავს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.
- 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, კერძოდ, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები და სხვა. ამასთან, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმიმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი, სპეციალური მასწავლებელი -1, სსსმ ასისტენტი - 3, ცეცხლფარეში. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულები, რომლის მიხედვით, დადგენილია მათი ფუნქცია - მოვალეობები. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის შეფასების დოკუმენტი, სადაც ფუნქციების შესაბამისად დეტალურად და მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები. სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის მუშაობის დებულება, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია დირექტორის მოადგილის, მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები კურიკულუმის განვითარების მიმართულებით. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლითაც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე და მისი უფლებები და მოვალეობები. ბიბლიოთეკის მუშაობის წესით ბიბლიოთეკარის, ხოლო დამრიგებლის მუშაობის დებულებით დამრიგებლის ფუნქცია-

მოვალეობები. თუმცა, უმჯობესი იქნება, სკოლამ შექმნას ერთიანი დოკუმენტი, რომლითაც მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს განსაზღვროს.

3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, სასურველია, სკოლამ შექმნას ერთიანი დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნება სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და მოვალეობები.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას სხვადასხვა დოკუმენტით, კერძოდ, ,,სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის შეფასების კრიტერიუმები", ,,კათედრის მუშაობის დებულება", ,,დამრიგებლის მუშაობის დებულება" ,,კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია", ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა", ,,ბიბლიოთეკის მუშაობის წესი", - თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები აქვს დადგენილი, დოკუმენტებში განსაზღვრულია თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. სტრუქტურულ ერთეულებსა და თითოეულ თანამშრომელს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე,

3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი;
- კათედრის მუშაობის დებულება;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის შეფასების კრიტერიუმები;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დამტკიცებულია დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა'', რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა. დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზმება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ. დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/ნ ბრძანებასა და სხვა სამართლებრივ აქტებს.

3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონსძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალედ.

დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლას შეუძლია რისკების მართვა და ფუნქციების სხვაზე დელეგირება -მასწავლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით.

3.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა, პროცედურები განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, თუმცა მასში აქცენტი მხოლოდ მასწავლებლების შერჩევაზე კეთდება. დაწესებულებაში სკოლის მასწავლებელთა შერჩევა და დასაქმება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, სკოლაში მასწავლებლის დასაქმება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად მიმდინარეობს, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია - https://teacherjobs.ge-ზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 41 თანამშრომელი, რომელთაგან 28 მასწავლებელია, მათ შორის, მენტორი-1, წამყვანი-2, უფროსი -24, მოწვეული-1. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლის ,,დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტს და ინახება თანამშრომელთა პირად საქმეებში.

3.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. სტრუქტურული ერთეულების დებულებებში და სხვა დოკუმენტებში, სადაც აღწერილია პერსონალის ფუნქცია მოვალეობები, ჩანს, რომ ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების შემუშავება. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს. სკოლის სტრუქტურული ერთეულები მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო მუშაობენ თანამშრომლობითი პრინციპით. ამასთანავე, სტრუქტურული ერთეულები დამოუკიდებლად მოქმედებენ და იღებენ გადაწყვეტილებებს. მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს ერთიანობის განცდას.

3.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას განსაზღვრული აქვს სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასების კრიტერიუმები. სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები.

3.1.2.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საშტატო განრიგი;
- სკოლაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებები;
- სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები;
- თანამშრომლეთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- eschool ბაზის მონაცემები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და პერსონალის შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებით. სკოლა ახორციელებს თვითშეფასებას, შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასებას, სამუშაო პროცესზე/სასწავლო პროცესზე დაკვირვებას. დასაქმებული პერსონალის შეფასება ხორციელდება შემდეგი ეტაპებით; დაგეგმვა, თვითშეფასება, გასაუბრება, საბოლოო შეფასება. პედაგოგთა საჭიროებების დადგენა ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით. კათედრის სხდომებზე განხილვით, ან კვლევის შედეგად.

3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ დოკუმენტით განსაზღვროს შემფასებელი პირები(ვინ ვის აფასებს) და შემუშავებული ჰქონდეს შეფასების ფორმები. მაგალითად, პერსონალის შეფასების კითხვარი დაკომპლექტებული იყოს კითხვებით, რომლითაც შესაძლებელი იქნება რეალისტური შეფასების წარმოება.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე; მასწავლებლებს უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები/ვორქშოფები, რომლებსაც სკოლა უზრუნველყოფს შიდა სასკოლო ადამიანური რესურსებით, ასევე, მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში თავადაც ინდივიდუალურად გეგმავენ წარმატებული სპეციალისტების მოსმენას/გამოცდილების გაზიარებას. დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ურთიერთშეფასება. შესაბამისად, სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. მაგ. გასაუბრებისას სკოლამ აღნიშნა, რომ სურვილი ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ აჭარის განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში - პროექტი ჩემს გაკვეთილზე, თუმცა სკოლას არ ჰქონდა მსგავსი გამოცდილება, გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე დაიგეგმა და განხორციელდა დისტანციური სამუშაო შეხვედრა და მასწავლებლებმა გაიზიარეს სხვა სკოლის მენტორი მასწავლებლის გამოცდილება. შედეგად მომზადდა პროექტები და სკოლა ჩაერთო აღნიშნულ კონკურსში. სკოლის ბუღალტერმა გაიარა ტრენინგი ბუღალტრული მართვა. დირექტორის მოადგილე ვიზიტის პერიოდში ჩართული იყო აჭარის მასწავლებლის სახლის ტრენინგში - სკოლის სტრატეგიული დაგეგმარება და მართვა. სკოლას რესურსცენტრთან გაკეთებული აქვს განაცხადი აჭარის განათლების ფონდის მიერ ორგანიზებულ საქმისმწარმოებლისა და ბიბლიოთეკარის გადამზადების ტრენინგში ჩასართავად.

3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლას აქვს მასწავლებელთა კარიერული ზრდის ხელშეწყობის გამოცდილება. სკოლაში იგრძნობა გუნდური მუშაობისა და მხარდაჭერის ატმოსფერო და წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად პროცესების წარმართვის შემთხვევაში სკოლის პერსონალს კარიერული წინსვლისთვის სკოლის მხარდაჭერა ექნება. სკოლის ბაზაზე წამყვანი და მენტორი მასწავლებლები პერიოდულად ატარებენ სამუშაო შეხვედრებს და აზიარებენ რესურსებს.

3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლაში თანამშრომელთა ადაპტირების მექანიზმი განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპები, სკოლა იაზრებს, რომ ამ ეტაპების გავლა ხელს შეუწყობს ახალი თანამშრომლის სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბებას. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მას გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს.

3.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის თანახმად სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობისა და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ ინოვაციური ხედვები. დოკუმენტში, ასევე, აღნიშნულია, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. დოკუმენტში არ არის აღწერილი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი.

3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით განსაზღვროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. ამ დოკუმენტების შესაბამისად მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. ასევე დოკუმენტების - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ხარისხის განვითარების მექანიზმი და ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად მოქმედება სკოლაში წარმართული პროცესების აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

3.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. თითოეული პროცესი აღწერილია ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში, კერძოდ, სკოლის მმართველობითი პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია შემდეგ დოკუმენტებში-სტრატეგიული დაგეგვის მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. ძირითადი პროცესები- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის დებულება. დამხმარე პროცესები - საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკის დებულება, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება. აღნიშნულ დოკუმენტებში პროცესები აღწერილია მკაფიოდ, გასაგებად და თანმიმდევრულად.

3.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების განხილვის წესი. ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს. ამავე წესით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება.

სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად.

3.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის ყველა პერსონალის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია პერსონალის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი; თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომლის ფუნქციები დამრიგებლის დებულებით არის განსაზღვრული და მშობელთა უფლებების განხორციელებას უწყობს ხელს. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები გაწერილია მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაშიც. სკოლაში მუშაობენ მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, რომელთა მუშაობაც ხელს უწყობს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვას.

3.3.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარების მექანიზმი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- პერსონალთან დადებული ხელშეკრულება;
- მშობელთან დადებული ხელშეკრულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სკოლის მართვის ორგანოებში, რომლის მიზანია სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა და დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა ტიპის არხს, მათ შორის, სკოლის გვერდს სოციალური ქსელში, კათედრების მიერ შექმნილ საკომუნიკაციო ,, მესენჯერ "- ჯგუფებსა და ,,თიმსის" გუნდებს.

3.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით შეიმუშავოს კითხვარები. მაგალითად, ადმინისტრაციის მუშაობის შეფასების შესახებ პერსონალისთვის, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით მშობლებისთვის და სხვა.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიალური ორგანოები, კერძოდ, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სხვადასხვა კოლეგიალური ორგანოების მუშაობაში. კერძოდ, პედაგოგიური საბჭოს საქმიანობაში ჩართულია ყველა მასწავლებელი და გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. მასწავლებლებს, მოსწავლეთა თვითმმართველობასა და მშობლებს ჰყავთ საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, დისციპლინური კომიტეტში. ზემოაღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში კონსტრუქციული თანამშრომლობა სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს.

3.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- დისციპლინური კომიტეტის შექმნის ბრძანება;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, სადაც დეტალურად აღწერილია სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები, ასევე მოსწავლეებსა და მშობლებთან ჩასატარებელი საგანმანათლებლო - საინფორმაციო ღონისძიებების ჩამონათვალი. სკოლას აქვს ვარგისიანობის ვადის მქონე 16 ცეცხლმაქრი, ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლას ჰყავს მანდატურები, ასევე, დარაჯები, სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, არც სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური, თუმცა სკოლამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით, კერძოდ, რესურსცენტრს მიმართა განცხადებით შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესწავლის მიზნით შუამდგომლობის გაწევის შესახებ და სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს ვადები ამ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. სკოლას, ასევე, არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებელი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ამ პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს გონივრული ვადა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ დოკუმენტის შესრულების მიმართულებით სკოლას წარმოდგენილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის N134 მიწერილობა, რომელიც შედგენილია სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე. აღნიშნული მიწერილობით სკოლას დაეკისრა სავალდებულო ღონისძიებების შესრულება, რომელთა უმრავლესობა შესრულებულია. სკოლის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით ვერ შესრულდა შემდეგი ვალდებულებები: სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციისა და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემების დამონტაჟება. სკოლას არ წარმოუდგენია მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 30 აპრილი. ზემოთ აღწერილისა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით,

3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, საკაცე, მაცივარი, კარადები, მედიკამენტების კარადა, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები და სხვა. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით სკოლის სამედიცინო პერსონალისთვის (ექთნისთვის) განსაზღვრულ კრიტერიუმებს (დიპლომით მინიჭებული პედიატრის კვალიფიკაცია). აღნიშნული ბრძანებით დადგენილია, რომ ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, სკოლას, რომლის მოსწავლეთა რაოდენობა 100-დან 500-ის ჩათვლითაა, შესაძლებელია ემსახურებოდეს ექთანი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (გაფორმებული ხელშეკრულება, ექთნის პირადი საქმე) და ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ

3.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, რომელშიც აღწერილია სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლაში უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის

დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები, სკოლის დარაჯები, კარისკაცი, მორიგე მასწავლებლები და მოსწავლეები. სკოლაში უცხო პირთა გადაადგილებას აკონტროლებს კარისკაცი. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი. წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით დგინდება, რომ მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის საათზე. სკოლამ აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პერიოდულად სხვადასხვა აქტივობას ახორციელებს, კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წელს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა ხალას საჯარო სკოლის პედაგოგებს, ტექნიკურ პერსონალსა და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე სწავლება ჩაუტარა, რის დასტურადაც სკოლამ წარმოადგინა ფოტომასალა.

3.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დაწესებულებაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზით შემუშავებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი. საჭიროების შემთხვევაში მანდატურის სამსახური ახორციელებს რეფერირებას, ამ პროცესში, ასევე, ჩართული არიან სპეციალური მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტები. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის ფუნქციაა მონიტორინგის, შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის გზით ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა.

3.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სკოლის დოკუმენტით ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება - მუხლი 5 - ინფორმირებულობის უზრუნველყოფა- განსაზღვრულია ის ტელეფონის ნომრები, რომლებიც სკოლაში თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული. სასურველია, სკოლამ შეასრულოს აღნიშნული მუხლის მოთხოვნა.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლა მოწესრიგებულია, სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშკრულებით დასაქმებული 4 დამლაგებელი (აქედან ერთი სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების პროგრამით). სკოლის დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ სკოლის მახლობლად განთავსებულია ნარჩენების ურნები. სკოლის სველი

წერტილები მოწესრიგებულია და აღჭურვილია ყველა შესაბამისი ნივთით, რომელთა მომარაგებაზეც ზრუნავს სკოლის დირექცია. სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სკოლის ექიმი.

3.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები'', სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები. ასევე, როგორ მოხდეს მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვა. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის სამუშაო აღწერილობა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მუშაობა ხელს უწყობს მონაცემთა დამუშავების სტანდარტის ამაღლებას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ტელეფონის ნომერი სკოლაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული.

3.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული საკეტიან კარადებში და ხელმისაწვდომი არ არის მესამე პირისთვის, ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში.

3.4.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების საკითხს. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას.

3.4.1.8 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაოს აღწერილობა.
- სკოლის განცხადება რესურსცენტრს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.
- სახანძრო-ტექნიკური დათვალიერების მიწერილობა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის თანახმადაც სეიდ გვარიშვილის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა არის მიწის ნაკვეთისა და სკოლის შენობის მოსარგებლე მოსარგებლის არსებობის ვადით. სკოლის

შენობა არის 4 სართულიანი, 2122.2 კვ.მ. ფართით. პირველ სართულზე განთავსებულია: ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, ექიმის კაბინეტი, სასადილო ოთახი, მანდატურების ოთახი, მტუკი-ს ოთახი, რესურსოთახი. მეორე სართულზე: 4 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, კანცელარია, დირექტორის კაბინეტი და მუსიკის ოთახი. მესამე სართულზე: 5 საკლასო ოთახი, გეოგრაფიის კაბინეტი, სასკოლო მუზეუმი, ორი კათედრის სამუშაო ოთახი. მეოთხე სართულზე არის 3 საკლასო ოთახი, ქიმია-ბიოლოგიის, ფიზიკისა და ისტორიის კაბინეტები, კომპიუტერული ლაბორატორია და პროფორიენტაციის ოთახი. სკოლას აქვს 386 მოსწავლის მერხი და სკამი. მასწავლებლის 20 საოფისე მაგიდა. საკლასო ოთახები, სამასწავლებლო და ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. საგნობრივი კაბინეტებში განთავსებულია პროექტორი, პროექტორის ეკრანი და საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული რესურსები. ამჟამად სკოლაში ირიცხება 185, მათ შორის 8 სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

3.5.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (ფოიე, დერეფანი, გამწვანებული ეზო). სკოლის დერეფანში განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარი. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (სათბური, გარე სპორტული მოედანი, პროფორიენტაციის ოთახი, სასკოლო მუზეუმი). სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტრული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, გაკვეთილების განრიგი ისე არის შედგენილი, რომ ქიმია-ბიოლოგიის საერთო კაბინეტით სარგებლობა ხელმისაწვდომია ორივე საგნის მასწავლებლებისთვის. შესაბამისად სკოლის ინფრასტრუქტურა აღნიშნული სივრცეებით ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

3.5.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება. დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული

სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში ინახება მკითხველთა ბარათები, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეები აქტიურად სარგებლობენ ბიბლიოთეკის რესურსით. აღწერილი მდგომარეობითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

3.5.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, ადაპტირებულია სველი წერტილი. რესურსოთახი მოწესრიგებულია და აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით. ხალას სკოლა ჰყავს ე.წ. ,,შუშის ბავშვი" (ს.ტ.), ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვი (ნ. კ.), რომელსაც უჭირს ოთხსართულიან შენობაში კიბეებზე გადაადგილება და მოსწავლე, რომელმაც წვივის დაგრძელების ოპერაცია გაიკეთა (ლ.ქ.), მას სრული დატვირთვით ფეხის დადგმა და კიბეებზე გადაადგილება არ შეუძლია. ხალას საჯარო სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია: ბიბლიოთეკა, სასადილო, რესურსოთახი, სამედიცინო ოთახი, მანდატურის ოთახი, სპორტული დარბაზი და საპირფარეშოები. საკლასო ოთახები, კაბინეტები (ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის, მუსიკის) და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე. ეტლით მოსარგებლე პირისათვის ეს სართულები მიუწვდომელია. პირველ სართულზე არსებულ სპორტულ დარბაზში მოსახვედრად კიბის ჩავლაა საჭირო, ეტლით მოსარგებლე ამ კიბით ვერ ისარგებლებს. შესაბამისად სკოლის ინფრასტრუქტურა არ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და გეგმით განსაღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 2027 წლის 30 ივნისი. აღწერილის შესაბამისად,

3.5.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სკოლა სასკოლო საზოგადოებისთვის ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია. სკოლაში არის დახურული სპორტული დარბაზი და ღია მოედანი. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ კურსდამთავრებულთა კლუბის წევრების დახმარებით სივრცეების კიდევ უფრო კეთილმოწყობა იგეგმება.

3.5.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- არაფინანსური აქტივების რეესტრი;
- საცნობარო მუხლების და მარაგების რეესტრი;
- ბიბლიოთეკის დებულება.
- კომპიუტერული ლაბორატორიის დებულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში მოქმედი 46 ლეპტოპია. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხელმისაწვდომია 25 ლეპტოპი; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით: 14 პროექტორით, 10 პროექტორის ეკრანით, 5 პრინტერ - სკანერის აპარატით, 1 ფერადი პრინტერით. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია 3 კომპიუტერით. სამასწავლებლოში განთავსებულია 4 ლეპტოპი, 2 პრინტერი, 1 პროექტორი და პროექტორის ეკრანი. პროექტორით, პროექტორის ეკრანითა და ლეპტოპით უზრუნველყოფილია მუსიკის, გეოგრაფიის, ქიმია-ბიოლოგიის, ისტორიის, ფიზიკის კაბინეტები, ბიბლიოთეკა და რესურსოთახი. სკოლის კანცელარია, სამასწავლებლო და ყველა კლას-კაბინეტი უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

3.6.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის წესი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობისთვის. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის.

3.6.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება);
- საინვენტარო აღწერილობა 01.01.2025. წლის მდგომარეობით.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას, ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და სხვ.

3.6.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის - Eflow-ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool-ის ერთიანი ბაზის სისტემაში საკუთარი პროფილი, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. შესაბამისად, სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები.

3.6.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.

3.6.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება გასული კორესპონდეცნიებით.

3.6.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა - Eflow
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა skolebi.emis.ge და სხვა საკომუნიკაციო არხებით ახორციელებს, მშობელთა და მოსწავლეთა კრებებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებზე; ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით: (3) Facebook . სხვადასხვა ორგანიზაციებთან კომუნიკაციისათვის გამოყენებულია ელ.ფოსტა: khala@mes.gov.ge.

3.6.3.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

skolebi.emis.ge -ზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და პორტალზე და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე.

3.6.3.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ღიაა, სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა არხებით მიიღოს ინფორმაცია. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, როგორც ზეპირი კომუნიკაციით, ასევე კითხვარების გამოყენებით. მასწავლებელთა საჭიროებების შესახებ მონაცემების შეგროვება და ანალიზი ეყრდნობა მათ მიერ შედგენილ ანგარიშებს. სკოლამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს მოსწავლეებმა კინოფილმების ჩვენებისა და განხილვის სურვილი გამოთქვეს. რის შემდეგაც დირექციის ძალისხმევით სკოლა ჩაერთო პროექტში ,,კინო სკოლაში", პროექტის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებში მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ, პარალელურად გაიზარდა მათი დაინტერესება არაფორმალური განათლების მიმართულებით.

3.6.3.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს skolebi.emis.ge -ზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული.

3.6.3.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული**

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

skolebi.emis.ge -ზე სკოლის გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ, მათ შორის საკონტაქტო ინფორმაციას. გვერდზე, ასევე, განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. ინდიკატორით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია სკოლის გვერდზე არ იძებნება. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც ხარვეზის აღმოთხვრის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 15 სექტემბერი. შესაბამისად,

3.6.3.5 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- skolebi.emis.ge -ზე სკოლის გვერდი https://shorturl.at/xsfhm
- სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
- მომხმარებლის ანგარიში სოციალურ ქსელში (3) Facebook .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. სკოლას აქვს დამატებითი შემოსავალი იჯარის საფუძველზე.

3.7.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის შესახებ გაწერილია სკოლის სამოქმედო გეგმაში. სკოლა წინა წლის გამოცდილებით ადგენს შესყიდვების გეგმას, აწარმოებს ბაზრის კვლევას, სკოლის ბიუჯეტის განკარგვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება სამეურვეო საბჭოს.

3.7.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი.
- სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლის 2025 წლის შესყიდვების გეგმა.
- იჯარის ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლიც განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს, ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობაც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას.

4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, ხელმისაწვდომია საინფორმაციო დაფაზე, ხოლო დამრიგებლის ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებების ოქმები, რითაც დასტურდება უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა და გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან;

4.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.

4.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სადამრიგებლო მუშაობის ამსახველი დოკუმენტები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს

სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

4.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. რაც დასტურდება eschool.emis.ge -ზე სკოლის პროფილისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების გაცნობით.

4.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში დამატებითი მომსახურება ხორციელდება, ფუნქციონირებს სპორტული და სახელოვნებო უფასო წრეები, რომელთა შესახებ ინფორმაცია სკოლაში განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. შესაბამისად, სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლებისა და საერთო შეხვედრების მეშვეობით. სხვადასხვა აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. გავრცელებული ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დირექცია.

4.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
- skolebi.emis.ge -ზე სკოლის პროფილი
- სოციალური ქსელში სკოლის ანგარიში (3) Facebook
- მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი''. წესის შესაბამისად, ადმინისტრაცია პირველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს, ასევე მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო

პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ.

4.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

დაწესებულების მიერ დამტკიცებული ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი" ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის დაწყების მომენტიდან მის სოციალიზაციას და ადაპტაციას, კერძოდ განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა. შესაბამისად სკოლა მზადაა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

4.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმითა და რემედიაცით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით მოსწავლეებს უტარდებათ კონსულტაციები ეძლევათ რეკომენდაციები. სწავლაში ჩამორჩენის შემთხვევაში იქმნება სარემედიაციო პროგრამა. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ.

4.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს, მოედანს, სპორტულ დარბაზს. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს და განხორციელების მექანიზმებს სკოლაში, შესაბამისად, სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში

მოსწავლეს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

4.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. სკოლაში ფუნქციონირებს აგროკლუბი ,,ხალასი", რომელმაც განახორციელა სასკოლო პროექტი ,,ჭკვიანი ფერმა ჩვენს სკოლაში", ეკოკლუბი ,,გარემოს მცველები", რომლის წევრებიც ჩართული არიან საერთაშორისო პროექტში ,,რეგიონები და ხალხი სურსათის უვნებლობისათვის". აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ სასკოლო ოლიმპიადაში მოსწავლეებმა მესამე ადგილი დაიკავეს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს თეატრალური კლუბი ,,მერცხლები", რომელიც 2023 წელს მოზარდთა თეატრალური დასების ფესტივალში ,,პირველი ავტოგრაფი" საუკეთესო ხუთეულში მოხვდა ნომინაციით ,,საუკეთესო მუსიკალური გაფორმება". სკოლა ჩართულია მეწარმეობის საფუძვლების სწავლებისა და ESP საერთაშორისო სერტიფიცირების პროცესში. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში დარეგისტრირდა და ფუნქციონირებდა მოსწავლეთა ორი კომპანია ,,ხალასი", რომელიც ჩითილებს აწარმოებდა და ხელნაკეთი ნაქსოვი ჩანთების და აქსესუარების მწარმოებელი კომპანია. 2024-2025 სასწავლო წელს მოსწავლეთა ორი კომპანია ,,მზისა" და ,,გენთლი" დარეგისტრირდა და მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეთა კომპანიების გამოფენაში, აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში წახალისებულია არაფორმალური აქტივობები.

4.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია, დიალოგში გაყოლა) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა. უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

4.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- არაფორმალური აქტივოების ამსახველი დოკუმენტაცია;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში.
- რემედიაციის დებულება
- მოსწავლეთა კლუბების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია
- მოსწავლეთა კომპანიების ამსახველი დოკუმენტაცია (ბიზნეს-გეგმები, რეგისტრაციის მოწმობა, გაყიდვების უფლების სერტიფიკატი და ფოტომასალა).

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. სკოლას აქვს პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმები, მემორანდუმის ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებს ჭრა-კერვის სახელოსნო, სადაც მოსწავლეები ეცნობიან და ეუფლებიან პროფესიას. სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მოსწავლეები ხვდებიან კურსდამთავრებულებს, პროფესიული კოლეჯების და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს და ეცნობიან სხვადასხვა პროფესიების შესახებ ინფორმაციას.

4.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში.

4.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას აქვს სკოლის საჭიროებისა და პრაქტიკის კვლევების გამოცდილება, რითაც სასწავლო პროცესის გაუმჯობესება მიმდინარეობს. სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს დაანონსდა კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნა. კურსდამთავრებულები მადლიერების გამოხატვის მიზნით, თავად არიან ჩართული სკოლაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში.

4.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი კოლეჯ ,,ბლექსთან“;
- დამრიგებლების პორტფოლიოები;
- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალებით.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. (დოკუმენტი- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია) სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. ყველა სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, მოსწავლის საგნის მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლის, ასევე, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქოსოციალური თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფის სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება საჭიროებისამებრ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. ინდივიდუალურ გეგმაში გარკვეული სახის ცვლილების შეტანის საჭიროების გამოვლენისას ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით.

4.2.3.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდგეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ. სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა

ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და წერილობით ან სიტყვიერ რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს და მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ადაპტირებული ტექსტი, ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი, ტაქტილური და სენსორული რესურსები. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება და ჩანაწერის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში დგება რთული ქცევის მართვის გეგმა. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი, 3 სსსმ მოსწავლის ასისტენტი. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა.

4.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;
- სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- ინტერვენციის გეგმები;
- სსსმ მოსწავლეების პორტფოლიოები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (კვების ბლოკის მომსახურება, ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

4.2.4.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

4.2.4.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

სკოლაში ფუნქციუნირებს უფასო წრეები/კლუბები - ვაჟთა ფეხბურთი, გოგონათა ფრენბურთი, ეკოკლუბი, აგროკლუბი. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

4.2.4.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის ხელშეკრულება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ასახავს სურათს, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თემის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. კერძოდ, სასკოლო პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა იმ უნარებით აღჭურვას, რაც ხელს შეუწყობს სოფლის გაძლიერებას. სასკოლო პროგრამაში წარმოდგენილია სხვა და სხვა საგნის ჭრილში დაგეგმილი პროექტული დავლებები, რომელთა მიზანიცაა ამა თუ იმ საგნობრივი მიზნების პარალელურად გავიდნენ ზესაგნობრივ პრიორიტეტულ თემებზე. ამის ნათელი მაგალითებია საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრების მიერ ორგანიზებული არა ერთი პროექტული დავალება. მაგალითად; შეისწავლეს რა სოფლის მიმდებარედ არსებული მდინარეებისა და ნაკადულების ეკოლოგიური მდგომარეობა, დაგეგმეს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და გარემო ბუნების დასუფთავება-მოვლას; ასევე, ბიოლოგიის მასწავლებლის მოკვლევის შედეგად დადგინდა მიმდებარედ არსებული მეწყერსაშიში ზონები და მოხდა აღნიშნული ტერიტორიის ნერგებით განაშენიანება. სკოლამ პროექტული გრანტის საფუძველზე შექმნა სათბური, სადაც თავად გამოიყვანეს ხეხილის სხვა და სხვა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი ნერგი, რომლებიც შემდგომ დაირგო სკოლის მიმდებარედ და ასევე საჩუქრად გადაეცათ ადგილობრივებს.

2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს მრავალმხრივი მეთოდებით მოკვლეულ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კერძოდ, სკოლა გეგმავს და ახორციელებს სადიაგნოსტიკო წერებს, რომელთა მონაცემებს კათედრები იყენებენ კურიკულუმის განახლებისათვის.

საგნობრივი წლიური პროგრამები ასევე ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია თითოეულ საგნობრივ სტანდარტთან. დოკუმენტაციის თანახმად, სასწავლო გეგმის დაგეგმვისას სკოლა მნიშვნელოვნად ითვალისწინებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს.

კათედრების წევრების გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამოკვეთის შედეგად ხდება სასკოლო სასწავლო გეგმისა და ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ღონისძიებების დაგეგმვა.

კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით, რომელიც აგრეთვე ეყრდნობა გასული წლების გამოცდილებას.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით არჩევენ კომპლექსური/პროექტული შინაარსის მქონე დავალებებს. კურიკულუმები მრავალფეროვანია და საშუალებას იძლევა მოარგონ სხვადასხვა ინტერესის მქონე მოსწავლეებს, რაც ზრდის მათ ჩართულობას.

პედაგოგები ყველა კლასში დეტალურად აანალიზებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს, მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ახდენენ დავალებათა დაგეგმვასა და მოდიფიცირებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას აქვს მზაობა ჩაატაროს გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მოახდინოს ცვლილებების შეტანა სასკოლო-სასწავლო გეგმაში.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებზე და მშობელთა უკუკავშირებზე დაყრდნობით სკოლა განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს. შესაბამისად შეაქვს ცვლილებები სასკოლო კურიკულუმში. მოსწავლეთა ინტერესებისა და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად უსაფრთხო და პოზიტიური.

2.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, ისევე როგორც კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმები და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგები გვავარაუდებინებს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყვნენ მასწავლებლები, საგნობრივი კათედრები და დირექცია.

კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებსა და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამებსა და მათი განხორციელებისთვის საჭირო სათანადო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად ქმნიან შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს. პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. კათედრები იყენებენ კითხვარებს, როგორც მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების, ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვლევა, მათი კურიკულუმის განვითარების ციკლურ პროცესში ჩართვის მიზნით. ამგვარი მიდგომა კურიკულუმის შემუშავებისას ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას.

საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, მისი ანალიზით, კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნების, შეფასების კრიტერიუმების თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

უფრო მეტიც, სკოლას აქვს ერთგვარი ტრადიცია, რის ფარგლებშიც სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ცნობილ კურს დამთავრებულებთან და ასევე მოსწავლეთა მშობლებთან, რომლებიც მოდიან და თავიანთი პროფესიულ ცოდნა-გამოცდილებას აქტიურად უზიარებენ მოსწავლეებს. მაგალითად, ამგვარი პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შეისწავლეს მეფუტკრეობა, ისინი აქტიურად სტუმრობდნენ ერთ-ერთ მეფუტკრე მშობელს და ადგილზე გაეცვნენ დარგის სპეციფიკას.

ამ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილიდან დგინდება, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მშობელთა კრებების ოქმები გვიჩვენებს, რომ სკოლის დირექცია და დამრიგებლები საგნის პედაგოგებთან ერთად აქტიურად აცნობენ სასკოლო საზოგადოების წევრებს დაგეგმილ სასწავლო პროგრამას.

2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობელთა კრების ოქმები;
- პროექტის გეგმები/ფოტო სურათები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა ანკეტები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის ცალკეული კომპონენტები ითვალისწინებენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და კეთებით სწავლების სტრატეგიებს. საკითხები, რომლთა შესწავლაც დაგეგმილია შემოქმედებითი დავალებებით, იმგვარადაა შერჩეული, რომ მოითხოვენ კომპლექსურ მიდგომებს, იძლევიან შემოქმედებითი დავალების ცალკეული კომპონენტების დიფერენცირების საშუალებას, დავალების კრიტერიუმები კი ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას და მიემართება ესგ-ს გძელვადიანი მიზნებისკენ საკითხის დასამუშავებლად მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია ცხოვრებისეული/ნაცნობი კონტექსტები, განსაზღვრულია მიზნობრივი, ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი რესურსები და კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს.

	მოსწავლეებისთვის მკაფიოა რა საკითხის შესწავლას ემსახურება დავალება, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნან და რა ცოდნა უნდა წარმოაჩინონ საკითხთან მიმართებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი მეტწილად ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. **რჩევა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე **გეოგრაფიის** საგნობრივ კურიკულუმებში ყველა შუალედური მიზნის/დავალების იდეის გრაფაში მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, მაგ. ეს შეიძლება იყოს პოსტერი, სტატია, დღიური, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. მაგ. გეოგრაფიის არცერთ კურიკულუმში შუალედური მიზნის გრაფაში დაკონკრეტებული არ არის შემოქმედებით პროდუქტი. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.
უცხოური ენები	სკოლა წარმოდგენილ კურიკულუმებში ითვალისწინებს შემოქმედებითი ბუნების აქტივობებს/დავალებებს, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი წარმოადგენს ფასილიტატორს, ხოლო მოსწავლე კი დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები.

	დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ყველა კლასში დამუშავებულია მეტნაკლებად სამიზნე ცნებები. პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებული სასწავლო კურიკულუმი ეფუძნება მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესებს, რაც გარდა კურიკულუმისა, მასწავლებელთა ინტერვიუდანაც გამოიკვეთა, ისინი აღნიშნავდნენ რომ ყველა მოსწავლე ინდივიდუალურია თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით და ეს ყველაფერი გაითვალისწინეს კურიკულუმის შექმნის დროს, კურიკულუმში მცირე ხარვეზების გარდა ჩანდა მრავალფეროვანი და დიფერენცირებული შემოქმედებითი პროდუქტები, ზოგჯერ ეს პროდუქტები მიმდინარე საკლასო აქტივობას გავდა, მაგრამ მათი საუბრიდან გამოიკვეთა ის, რომ ამაზე ნაფიქრი ჰქონდათ და მომავალ კურიკულუმში უფრო შემოქმედებით ხასიათს მისცემდნენ შუალედურ მიზნებს და სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის აქტიურად და პოზიტიურად ჩასართავად იმუშავებენ კურიკულუმის სრულყოფაზე.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც მოსწავლის განვითარებაზეა ორიენტირებული. კურიკულუმი სტრუქტურირებული დოკუმენტია და მეტწილად შეიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. კურიკულუმის შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას, შუალედური სასწავლო მიზანი (შემოქმედებითი ტიპის დავალებები) წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს.
მათემატიკა	მასალებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და ითვალისწინებს მათემატიკის საგნობრივ მოთხოვნებს,

	კერძოდ, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს და რა უნდა იცოდეს. მასში გაწერილია ის გზები და საშუალებები, რომლის საფუძველზე ხერხდება დასახული მიზნის მიღწევა. კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი თემები, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საშუალებებს. დაგეგმილი და შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების ვალდებულება ამტკიცებს მოსაზრებას, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრებით.
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასების წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე.
ტექნოლოგიები	კურიკულუმი წარმოდგენილია იმგვარად, რომ ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და წინსვლას. მოწოდებული კურიკულუმები ადასტურებს, რომ ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და მიმართულია მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისაკენ. კათედრები მზად არიან კურიკულუმები დახვეწონ ურთიერთთანამშრომლობისა და გაზიარების, აგრეთვე დანერგვის ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე და სრულფასოვანი გეგმები გამოიყენონ 2025-2026 სასწავლო წლიდან.

2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი ყველა სავალდებულო თემა-კლასების მიხედვით. თითოეული თემის ფარგლებში, მუშავდება ყველა ძირითადი საკითხი და ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით, საკითხების დამუშავება დაგეგმილია შემოქმედებითი ბუნების დავალებებით და მათი კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ (საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებებისკენ) აქტივობები ემსახურება დავალების კრიტერიუმების თანმიმდევრულ დამუშავებას, რომელიც თავის მხრივ ესგ-ს გრძელვადიანი მიზნებისკენაა მიმართული. დავალების ცალკეული კომპონენტები ითვალისწინებენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და კეთებით სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი საკითხების დამუშავებისთვის განსაზღვრულია საკმარისი დრო. ხოლო მთლიანი თემისთვის დათმობილი დრო შესაბამისია სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვისა და სემესტრული განაწილების. თუმცა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში სტანდარტთან შეუსაბამოა წარმოდგენილი თემების და ცნებების როგორც რაოდენობა, ასევე ფორმულირება. **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი წლიური პროგრამების ამსახველ დოკუმენტში-კურიკულუმში ისევე ზუსტად აისახოს თემებისა და სამიზნე ცნებების მჭიდრო კორელაცია საგნობრივ სტანდარტთან, როგორც ეს არის საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი ძირითად შემთხვევაში დაგეგმილია სტანდარტით

	გათვალისწინებული სავალდებულო თემების მიხედვით და განსაზღვრულია გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა შემოქმედებითი ტიპის ან პროექტული დავალებებით. **რჩევა:** სასურველია, **დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოების მე-3, მე-4 კლასების და „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასის** საგნობრივ კურიკულუმებში საკითხების/შუალედური მიზნების გასწვრივ მითითებული იყოს თუ რომელი გრძელვადიანი მიზანი მუშავდება, რათა სასწავლო პროცესში უზრუნველვყოთ სწავლის შედეგების მიღწევა. აღნიშნულ კურიკულუმებში მოცემულია საკითხები, შუალედური მიზნები და არ არის კონკრეტულად მითითებული თუ რომელი საკითხი/შუალედური მიზანი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს ამუშავებს.
უცხოური ენები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. შემოქმედებითი ბუნების დავალების პირობები კი ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა და სხვ.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის წლიური კურიკულუმები დაგეგმილია ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სტანდარტისა ესგ და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი პროგრამა იძლევა გრძელვადიანი სამიზნე ცნებების დამუშავების საშუალებას. ხოლო თემები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ემსახურება ისეთი უნარების დახვეწას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და სხვ, განსაკუთრებით ამ მხრივ

	სავალდებულო პროექტებით სწავლებას გამოვყოფდი საშუალო საფეხურზე. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტებისა გამოიკვეთა მცირე უზუსტობები კურიკულუმის სტრუქტურასა და შინაარსობრივ საკითხში მაგალითად: **დაწყებითი საფეხურის** მე-4, მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმში არ არის სავალდებულო თემატური ბლოკები გამოკვეთილი, ან თუ არის მას მიმდინარე შემოქმედებითი თემის ფარგლებში მითითებულ უჯრაშია მოცემული და მას არ აქვს სავალდებულო სწავლების თემატური ბლოკის სახე, რომლის ქვეშ უნდა ისწავლებოდეს რამდენიმე თემა ან ქვეთემა, გამოტანილი სამიზნე ცნებები ან შემოქმედებითი პროდუქტი ამავე კლასში იმაზე მეტია მოაზრებული ვიდრე უნდა იყოს, შესაძლებელია რამდენიმე დავალება ერთ დავალებაში გაერთიანდეს და შემოქმედებითი დავალების პირობის სახე მიეცეს. **საბაზო საფეხურზე** მაგალითად მე-7, და მე-8 კლასის ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში არ არის სავალდებულო თემატური ბლოკები გამოკვეთილი, ან თუ არის ის შემოქმედებითი თემის ფარგლებში მითითებულ უჯრაშია მოცემული და არ აქვს სავალდებულო სწავლების თემატური ბლოკის სახე, რომლის ქვეშ უნდა ისწავლებოდეს რამდენიმე თემა ან ქვეთემა, ამის გამო დაკარგულია თემისა და ქვეთემის სათაურები თუ რომელ თემაში რომელი სამიზნე ცნება მუშავდება არ ჩანს გამოკვეთილად. **რჩევა:** სასურველია, 4-5-6 კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში გამოიკვეთოს სავალდებულო თემატური ბლოკები და შემოქმედებითი პროდუქტის პირობა და იდეა ერთ პირობაში გაერთიანდეს ისე რომ შესასწავლ თემატურ ბლოკს, თემას, ძირითად საკითხსა და კონტექსტ მაგალითებთან მოვიდეს შესაბამისობაში. სასურველია, მე-7-8 კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში გამოიკვეთოს სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და შემოქმედებითი პროდუქტის პირობა და იდეა ერთ პირობაში გაერთიანდეს ისე, რომ

	შესასწავლ თემატურ ბლოკს, თემას, ძირითად საკითხსა და კონტექსტ მაგალითებთან მოვიდეს შესაბამისობაში. სასურველია, მე-10 კლასის მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში გამოიკვეთოს ორი სავალდებულო თემა თავისი გრძელვადიანი მიზნებითა და შემოქმედებითი პროდუქტით.
სახელმწიფო ენა	ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები კურიკულუმში გათვალისწინებულია. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა ძირითადი საკითხი და ყველა სამიზნე ცნება, საკითხების დამუშავება დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში (V-VI, VII-XII კლასები) სვეტში გაწერილი მასალები არ არის რელევანტური **რჩევა:** სასურველია, სამიზნე ცნებებთან ერთად ყველგან მითითებული იყოს ქვეცნებებიც, ასევე მეტი ყურადღება მიექცეს კურიკულუმის თითოეული სვეტის ფუნქციას.
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი კომპონენტები იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირად არის სამიზნე ცნებები და შედეგები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანეთთან. მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას. ამავე დროს ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე და ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარება.
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი,

	ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები).
ტექნოლოგიები	მოწოდებული კურიკულუმები მოიცავს ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. საგნის მასწავლებელს გააზრებული აქვს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ I-IV კლასების საგნობრივ კურიკულუმებში ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში, ძირითადად, მასწავლებლები ცდილობენ კურიკულუმში გაითვალისწინონ საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, სასწავლო პროცესი მეტწილად ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. **რჩევა:** სასურველია, საგან ,,მე და საზოგადოებაში" მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმები, კერძოდ კი სამიზნე ცნებები შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ სტანდარტთან. ასევე, გადაიხედოს დაწყებითი (I-IV) კლასების ბუნებისმეტყველების კურიკულუმები და სტანდარტის მიხედვით გასწორდეს როგორც სამიზნე ცნებები, ისე სავალდებულო თემები.

2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩოებში, საკითხის გასწვრივ რესურსების გრაფაში წარმოდგენილი ძირითადი/გრიფირებული სახელმძღვანელო (შესაბამისი გვერდების მითითებით) უზრუნველყოფს ყველა ძირითადი საკითხის დაფარვას. დამხმარე საგანმანათლებლო რესურსი-(ელექტრონული თუ მატერიალური) არის მიზნობრივი, საკმარისი, ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები ძირითად შემთხვევაში უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებით რესურსად სხვადსხვა ვიდეორგოლები, ტელესკოლის გაკვეთილები, სატელევიზიო რეპორტაჟები, დოკუმენტური ფილმები და ა.შ.
უცხოური ენები	აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის მიერ შეთავაზებული ძირითადი სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები) უმეტესწილად პირდაპირ უკავშირდება სწავლის განსაზღვრულ შედეგებს და ხელს უწყობს ენის ფუნდამენტური უნარების (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) განვითარებას. მრავალი რესურსი შეიცავს მრავალფეროვან სავარჯიშოებსა და აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ ათვისებას და სხვადასხვა სასწავლო სტილის მქონე მოსწავლეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მასწავლებლის სახელმძღვანელოების გამოყენება პედაგოგების მიერ., უზრუნველყოფს პედაგოგიურ მხარდაჭერას და ეხმარება მასწავლებლებს რესურსების ეფექტურად

	ინტეგრირებაში სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია ასევე, ციფრული რესურსების გამოყენება და მათი ინტეგრაცია.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ მრავალფეროვან რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად. მათი თქმით. შემოქმედებითი ტიპის დავალებებია წარმოდგენილი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. სკოლას საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის, მათ შორის საკუთარი ხელით დამზადებული რესურსებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოყენებით. აქვთ პლაკატები, ცხრილები, მოძრავი ანბანი, მაგნიტური დაფა, მუსიკალური ინსტრუმენტების მაკეტები, შეკერილი ჩანთები , საკერავი დანადგარები და სვა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მუსიკის საგანში მოსწავლეებმა თავად დაამზადეს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტების ვიზუალური რესურსები, მეორადი ნივთებით შექმნეს ახალი რესურსი შეკერეს ჩანთები, რომელსაც სხვა დროს გაკვეთილების დროს ვიზუალური თვალსაჩინოებისთვის იყენებდნენ. ასევე ისაუბრეს რომ ხშირად მოსწავლეებს საკმარისი რესურსი თუ არ აქვთ საკლასო აქტივობებზე მუშაობის დროს მასწავლებელი თავად უზრუნველყოფს მათი რესურსებით აღჭურვას და საერთო ძალებით ართმევენ თავს დასახულ მიზანს.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გაწერილი რესურსები მრავალფეროვანი და საინტერესოა. ძირითად რესურსთან ერთად, რომელიც გრიფირებულ სახელმძღვანელოა და, თავის მხრივ,

	უზრუნველყოფს ყველა ძირითადი საკითხის დაფარვას, წარმოდგენილია, როგორც საკითხავი ტექსტები, ასევე ელექტრონული პრეზენტაციები, ვიდეოფილმები, ვებ და მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსები. შესაბამისად, წარმოდგენილი რესურსები სრულიად საკმარისია, რათა უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა.
მათემატიკა	ზოგადი განათლების სამივე საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამის ველში მითითებულია რესურსები დავალებაზე მუშაობისათვის. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი რესურსები არამხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე.
სპორტი	სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. მასწავლებელთან ინტერვიუს დროდ დასტურდება, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.
ტექნოლოგიები	როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ყოველგვარი საჭირო რესურსით. სკოლას აქვს სტანდარტებით გათვალისწინებული ლაბორატორია, ასევე დამხმარე რესურსები. სასწავლო პროცესი იგეგმება ისე, რომ ორიენტირებული იყოს მოსწავლის საჭიროებებზე და მოთხოვნებზე.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში სახელმწიფო ენაში, მათემატიკაში, მე და საზოგადოებასა და ბუნებისმეტყველებაში შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამის ველში მითითებულია რესურსები დავალებაზე მუშაობისათვის. აღნიშნული რესურსები შეიცავს სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებსა და აქტივობებს, რაც ხელს უწყობს როგორც შემოქმედებით პროდუქტებზე მუშაობას, ისე, კურიკულუმით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისი მასალის ათვისებას.

2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი ისგ-ები, წარმოებული დიფერენცირებული დავალებები (სადაც აქტივობა/აქტივობები დიფერენცირებულია მაღალი, საშუალო, დაბალი მზაობის მოსწავლეებისათვის) სასწავლო პროცესში ორგანიზების სხვდასხვა ფორმის გამოყენების პრაქტიკა , (ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილები,), მოსწავლეთათვის თავისუფლების მიცემა აირჩიონ -პროდუქტის ფორმა (პოსტერი, ბუკლეტი, ესე, მოდელი და ა.შ) წარდგინების ფორმა და საშუალება (ზეპირი, წერითი, ელექტრონული, მატერიალური) ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომლებზეც მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობის დროს ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს.

უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა, მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სასწავლო ტემპს. მრავალი რესურსი მოიცავს დამატებით სავარჯიშოებს, გაფართოებულ აქტივობებს, რაც პედაგოგს საშუალებას აძლევს, ეფექტურად იმუშაოს როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების, ისე დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. ეს ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას და უზრუნველყოფს, რომ სწავლის შედეგები მიღწეული იყოს მოსწავლეთა მრავალფეროვან ჯგუფში.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმების ჩარჩოებიდან და გასაუბრებიდან იკვეთება, მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრა მოსწავლეების საჭიროებებს მუდმივად ითვალისწინებს, აქტივობები და რესურსები განისაზღვრება და ადაპტირდება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გაწერილი რესურსები მასწავლებელს საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს მოსწავლეთა მზაობა და მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სასწავლო ტემპს. წარმოდგენილი ისგ-ები და შემოქმედებითი დავალებები შეიცავს აქტივობებს, რომლებიც დიფერენცირებილი და ინკლუზიურია. შესაბამისად, სასწავლო პროცესი სკოლაში ინკლუზიურია და ითვალისწინებს ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომობას, განათლების მიღებას ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია სკოლის თითოეულ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან განათლებაზე. სკოლაში შეიქმნას მათზე მორგებული სასწავლო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას, შესაძლებლობების რეალიზებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა შემოქმედებით დავალებებს.
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება ინკლუზიურობა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დააფიქსირა, რომ ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით უდგება თითოეულ მოსწავლეს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში გაწერილი დავალებები იძლევა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობას. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც შექმნილია ისგ საგნების მიხედვით და გაწერილია როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი მიზნები საფეხურის შედეგების მიხედვით.

	ზოგადად, მასწავლებლებთან ინტერვიურებისას იკვეთება, რომ ისინი საჭირო დროს ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას და მათ მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. სასურველია, სკოლამ დაგეგმოს და განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს საბაზისო უნარების (კითხვა და მათემატიკური წიგნიერება) ზუსტ და დროულ განსაზღვრას ინტერვენციების ასამოქმედებლად.

2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს მოსწავლის პროგრესს დინამიკაში და ასევე მიღწევის დონეს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებაში. მოიცავს მკაფიო კრიტერიუმებს, რაც მნიშვნელოვანია შეფასების ობიექტურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, სამართლიანობისა და ვალიდურობისთვის, ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითშეფასების უნარის განვითარებას, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის მნიშვნელობას, გამოითქვა მზაობა შეფასების მრავალფეროვნებაზე მუშაობისთვის. **რჩევა:** სასურველია, საგან **ბუნებისმეტყველებაში, მე-5-6 კლასებში** წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გარდა შემუშავდეს, კონკრეტულ საკითხზე/ დავალებაზე მორგებული, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები საგნების მიხედვით, ძირითად შემთხვევაში აღნიშნული რუბრიკები ეფუძნება სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემების ფარგლებში მოცემულ სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. **რჩევა:** სასურველია, **დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოებისა და „ჩვენი საქართველოს“** საგნების ფარგლებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს.
უცხოური ენები	კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა, შეესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. ხაზგასმულია უკუკავშირის მნიშვნელობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესს და შეცდომებზე მუშაობას. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი შეფასების ფორმები, მათ შორის ზეპირი და წერითი კომპონენტები, პროექტული დავალებები და აქტივობები, რაც ხელს უწყობს ენის ოთხივე უნარის (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) შეფასებას. ეს შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნას, შეფასდეს არა მხოლოდ ცოდნა, არამედ უნარები და კომპეტენციები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე მოიცავს მკაფიო შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს სხვადასხვა ტიპის დავალებისთვის, რაც მასწავლებლებს ეხმარება ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებაში, ხოლო მოსწავლეებს - მოლოდინების გაგებაში და თვითშეფასების უნარის განვითარებაში. ეს მნიშვნელოვანია შეფასების სამართლიანობისა და ვალიდურობისთვის.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ საფეხურების შესაბამისად წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების ფორმები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც ეს გეგმისა და სანის სტანდარტის შესაბამისად სარეკომენდაციოდ არის შემოტანილი თუმცა არცერთი ფორმა შეფასებისა არ იყო კონკრეტულ თემაზე ან სამიზნე ცნებაზე მორგებული. ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, შექმნან დავალებას მორგებული, კონკრეტული დავალებები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს თუ როგორ აფასებენ და რას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შეფასებისას კონკრეტულ თემაზე მუშაობისას და გამოთქვეს მზაობა რომ მსგავს დოკუმენტებს მომავალი სასწავლო წლისათვის აუცილებლად შექმნიდნენ **რჩევა:** სასურველია, შეიქმნას **დაწყებითი საფეხურის 1-ელი- მე-4-5 კლასებისათვის** კონკრეტული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მე-5-6 კლასებისთვის კონკრეტულ თემებზე მორგებული კონკრეტული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასურველია, შეიქმნას **საბაზო საფეხურის მე-7-8-9 კლასებისათვის** ორივე საგნისთვის კონკრეტული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული იქნება საგნის სტანდარტი, თემები და გრძელვადიანი სამიზნე ცნებებები
სახელმწიფო ენა	სკოლას შემუშავებული აქვს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ანალიზისა და ანგარიშის ფორმები, რომლებიც ძირითად შემთხვევაში შეესაბამებიან ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს. **რჩევა:** სასურველია, **სამივე საფეხურზე** განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დაკონკრეტდეს, სამიზნე ცნებასა და შედეგებთან მიმართებით რა შემთხვევაში დაიმსახურებს მოსწავლე ამა თუ იმ ქულას.

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია სკოლის თითოეულ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან განათლებაზე. სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებასაც შეიძლება ითქვას, რომ შეფასები სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სანდო და სამართლიანი, რის მტკიცებულებასაც წარმოადგენს შემუშავებული შეფასების რუბრიკები.
სპორტი	მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(პრეზენტაცია), ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მასწავლებელთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდასა და სპორტში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, შედეგად საგნის შეფასების სისტემა დააკმაყოფილებს ესგ-ს მოთხოვნებს, იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
ტექნოლოგიები	მასწავლებელს წარმოდგენილი, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი აქვს შეფასების რუბრიკები. აღსანიშნავია, რომ სკოლაში მუდმივად ხდება შეფასების სისტემის მოდიფიცირება, იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს ობიექტური და სამართლიანი, ითვალისწინებდეს მოსწავლის უნარებს და გამოწვევებს. შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ წარმოადგინეს რუბრიკები ზოგიერთი თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებების შესაბამისად, თუმცა, სასურველია, რომ ეს პრაქტიკა გავრცელდეს ყველა საგანზე და ყველა იმ დავალებაზე, რომელსაც შეიტანენ მომავალი წლის კურიკულუმში.

	რჩევა: თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.

2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა; ინდ გეგმა;
- რემედიაციის გეგმები;
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და მათი ანალიზის ფორმები;
- სადიაგნოსტიკო წერის ნიმუშები ქიმიაში;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია.
- პროექტების გეგმები და ფოტო-მასალა;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას, სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობები და გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას სამივე საფეხურის შემთხვევაში წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი აღნიშნული კურიკულუმების შესაბამისად. როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დრო გამოჩნდა, კათედრამ მიმდინარე სასწავლო წელს ნაწილობრივ განახორციელა კურიკულუმებით დაგეგმილ შუალედურ მიზნებზე მუშაობა. **რჩევა:**

	სასურველია, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ 2025-2026 წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და ყოველწლიურად შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; სასწავლო რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანაცვლება; ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება.
უცხოური ენები	უცხოური ენების სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს, სწავლის შედეგებსა და თემატიკას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხასიათდება ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს მასალის თანდათანობით და კომპლექსურად ათვისებას. გათვალისწინებულია ცოდნის საფეხურებრივი აგება მარტივიდან რთულისკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესს. დაგეგმვისას, როგორც წესი, გათვალისწინებულია კურიკულუმით დამტკიცებული ძირითადი და დამხმარე რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, აუდიო/ვიდეო მასალები). მათი ინტეგრაცია ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს მასალების სრულყოფილ გამოყენებას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, რათა მოხდეს მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. კათედრამ წარმოადგინა სხვადსხვა საგნებში პროექტები თავისი რეფლექსიებითა და მოსწავლეთა ნამუშევრებით,

	ასევე მათ მიერ შექმნილი სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტები, საკლუბო და საწრეო მუშაობის ამსახველი ფოტო მასალები, აღნიშნულიდან ჩანს, რომ სკოლა და ესთეტიკის კათედრა კურიკულუმის შესაბამისად ახორციელებს სასწავლო და საგაკვეთილო პროცესს.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ სკოლაში ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები, ხორციელდება შემოქმედებითი ტიპის დავალებები, შემუშავებული რუბრიკების თანახმად ხდება მოსწავლეთა შეფასება; სკოლა ატარებს სადიაგნოსტიკო წერებს, რემედიაციას, შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით.
მათემატიკა	წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ითვალისწინებს მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად.
ტექნოლოგიები	მასწავლებლის ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებთან. მასწავლებელი გეგმავს ყოველწლიურად გადახედოს და გააუმჯობესოს არსებული მიდგომა, მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის.

2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი წლიური სასწავლო პროგრამა თითოეული საგნისადმი/საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რემედიაციის პროცესების აღმწერი დოკუმენტები და მასწავლებელთა ინტერვიუები ცხადყოფს, რომ სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, რომ ადვილად გაუმკლავდნენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ დაუგეგმავ გამოწვევებს.

2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეებისთვის მკაფიოა რა ცოდნის და უნარების წარმოჩინებაა საჭირო კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების კრიტერიუმებისა და ნიშნების დაანგარიშების წესის შესახებ, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში, რუბრიკები მოიცავს მკაფიო და საგნობრივი სტანდარტის მიხედვით მისაღწევ შედეგებთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თუ სკოლა აღნიშნულ რუბრიკებს პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენებს შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია თემის ფარგლებში დასამუშავებელ გრძელვადიან მიზნებზე.
უცხოური ენები	კურიკულუმი, უმეტესწილად, უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების, ნიშნების დაანგარიშების წესისა და შეფასების ინსტრუმენტების შესახებ. არის განსაზღვრული, თუ რა ცოდნისა და უნარების დემონსტრირებაა საჭირო კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებულობას და შეფასების პროცესის გაგებას. შეფასების სისტემა ცდილობს დაიცვას სამართლიანობის პრინციპი სხვადასხვა ტიპის დავალებების შეთავაზებით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში (მაგალითად, როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმატში). კურიკულუმში მოცემულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც ობიექტურობის ხარისხს ზრდის. ეს რუბრიკები, როგორც წესი, დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდობას – ანუ, ის ზომავს იმას, რის გაზომვაც არის საჭირო (მაგალითად, ენობრივ კომპეტენციებს და არა დამახსოვრების უნარს).
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან ესგ და საგნის სტანდარტს და ითვალისწინებენ საფეხურის მისაღწევ შედეგს , ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, საბაზო საფეხურზე ზოგადი განმსაზღვრელი შეფასებით, ვინაიდან სკოლას

	აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, რაც ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს მასწავლებლებმა.
სახელმწიფო ენა	სკოლის შეფასების სისტემა შედგება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისგან, ურთიერთშეფასებისა და რეფლექსიებისაგან. მოსწავლის შეფასება ხდება მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით, რომელთა კრიტერიუმებიც თანხვედრაშია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლაში მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი.
მათემატიკა	კათედრაზე იქმნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა საგნობრივ სტანდარტების ინდიკატორებსა და შედეგებს. შეფასება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასების რუბრიკები შესაბამისია ასაკის. მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შედგენილია ობიექტურად სამართლიანობის პრინციპის დაცვით
სპორტი	მასწავლებელი ფლობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(პრეზენტაცია), ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდასა და სორტში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ტექნოლოგიები	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის რუბრიკები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მასწავლებელთან ინტერვიუში დასტურდება, რომ მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა შეფასების სისტემის დახვეწაზე, ამ პროცესში ჩართულია კათედრა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მათ წინასწარ აცნობენ ბავშვებსა და მშობლებს, თუმცა, შეფასების ვალიდურობისა და სანდოობის დასადასტურებლად, პირველ რიგში საჭიროა ის მოერგოს სტანდარტს - თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით და ისე დაინერგოს პრაქტიკაში.

2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ნათელ სურათს გვიქმნის იმისას, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა მტკიცედ ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.
სკოლას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირნი(კათედრის ხელმძღვანელები, კათედრის წევრები, მენტორი მასწავლებელი და დირექციის წევრები), რომლებსაც ევალებათ აღნიშნული პროცესების მართვა/კონტროლი.

2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით. ამასთან სკოლას აქვს კაბინეტური სისტემა თითოეული კათედრისა თუ საგნის დონეზე (ისტორიის კაბინეტი, გეოგრაფიის კაბინეტი, ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი, ფიზიკის კაბინეტი, მუსიკის კაბინეტი და ა.შ), ასევე სამასწავლებლოში საკეტიანი კარადები თითოეული მასწავლებლისთვის, რაც იძლევა საშუალებას სკოლამ შეინახოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები საჭირო ვადით პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით.

2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია;
- ფოტო მასალა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში განხორციელებულ აქტივობებში გამოიყენება დაგეგმილი, კურიკულუმში გაწერილი ძირითადი და დამხმარე (ელექტრონული თუ მატერიალური) საგანმანათლებლო რესურსები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში პედაგოგები აქტიურად იყენებენ ძირითად სასწავლო რესურსებს- გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მოსწავლის რვეულებსა და კურიკულუმით განსაზღვრულ დამხმარე სასწავლო რესურსებს.

უცხოური ენები	კურიკულუმით დამტკიცებული ძირითადი სასწავლო რესურსები, კერძოდ სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები, აქტიურად და სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ისინი წარმოადგენენ გაკვეთილების დაგეგმვისა და მიზნების მიღწევის მთავარ საფუძველს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის სტანდარტულობას და თანმიმდევრულობას. აუდიო და ვიდეო მასალების აქტიური ინტეგრაცია ხელს უწყობს მოსმენისა და მეტყველების უნარების განვითარებას, ასევე მასალის ვიზუალურ და სმენით აღქმას, რაც ამდიდრებს სასწავლო გარემოს და ზრდის მოსწავლეთა ინტერესს. მასწავლებლები, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობენ დამატებითი, დამხმარე რესურსების (მაგალითად, ონლაინ სავარჯიშოები, თამაშები, ადაპტირებული ტექსტები) მოძიებას და ინტეგრაციას, რაც მიუთითებს მათ პროფესიულ მიდგომაზე და მზაობაზე, გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალური მასალა, იუთუბ ბმულები, ხელოვნებისა და მუსიკის კაბინეტში განთავსებული რესურსები და სხვა), რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის სასწავლო პროცესში გამოყენებას ძირითადად ადასტურებს შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებშიც ეს რესურსი საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი.
მათემატიკა	შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს მათემატიკაში, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი.
სპორტი	სასკოლო კურიკულუმი შედგენილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, დაგეგმილია სახალისო აქტივობები, რომლებიც იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას. მასწავლებლებლებმა

	ინტერვიუში აღნიშნეს, რომ იყენებენ სკოლის ინფრასტრუქტურას- შიდა სპორტულ დარბაზსა და გარე მოედანს, ასევე სკოლის ბალანსზე არსებულ სპორტულ ინვენტარს.
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე ტექნიკა. მასწავლებლის ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლის ხელთ არსებული რესურსი და ასევე ინტერნეტ რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს სხვადასხვა საგანში, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ზოგიერთ საგანში, მაგ. მათემატიკაში, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული ისეთი შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებაში, რომლის პროცესშიც მოსწავლე თავად ქმნის რესურსს (მაგ. ,,სივრცული ფიგურები”).

2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგების მიერ შერჩეული და სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსები(ელექტრონული თუ მატერიალური) შეესაბამება ესგ-ს და კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, ეხმარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები ძირითად შემთხვევაში შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

	რჩევა: სასურველია, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ყოველწლიურად ახორციელებდეს დამხმარე რესურსების შეფასებას/შერჩევას მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებასა და მიზანმიმართულობას.
უცხოური ენები	მასწავლებლები იყენებენ აუდიო-ვიდეო მასალებს და სხვა დამხმარე საშუალებებს, რომლებიც ავსებს ძირითად სახელმძღვანელოებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლების მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები, როგორც წესი, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, თემატიკასა და სწავლის შედეგებს. ეს უზრუნველყოფს, რომ დამატებითი მასალები არ იყოს მოწყვეტილი ძირითად სასწავლო პროცესს და ეხმარებოდეს მოსწავლეებს საჭირო კომპეტენციების გამომუშავებაში.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს, რადგან უმრავლეს შემთხვევაში რესურსად მითითებულია სახელმძღვანელოში მოცემული ბმულები.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გაწერილი როგორც ძირითადი, ისე დამატებითი რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემატიკას, მიზნებსა და სწავლის შედეგებს.
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება.

სპორტი	სკოლა არსებული რესურსიდან გამომდინარე უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ სტანდარტებს. შესაბამისად, უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსების ვალიდურობა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეჯერებული გადაწყვეტილება.

2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში გამოყოფილია ცალკე ფართი საბუნებისმეტყველო საგნებისთვის, ლაბორატორია და საპრეპარატორო ოთახი, სადაც ინახება შესაბამისი რესურსები, თვალსაჩინოებები, ქიმიური ჭურჭელი და პრეპარატები. ქიმიური რეაქტივები ინახება ცალკე კარადებში, დაცულ მდგომარეობაში, ლაბორატორიაში არის გამდინარე წყალი და კარგი ბუნებრივი ვენტილაცია, თუმცა არა არის გამწოვი სისტემა, ასევე შესავსები და გასანახლებელია ქიმიური რეაქტივების მარაგი, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ძირითადად შესაძლებელია მარტივი სადემონსტრაციო ექსპერიმენტების განხორციელება და ასევე პროექტორის

	დახმარებით სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩვენება. რაც საკმარისი შეიძლება იყოს დაწყებითი საფეხურისთვის. **რჩევა:** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენების ხელშესაწყობად და სიღრმისეული სწავლებისთვის რეაქტივების მარაგის შევსება, გამწოვი სისტემის დამონტაჟება, სამუშაო მაგიდებზე დამცავი მუშამბების გამოყენება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია პროექტორით, ასევე მოწყობილია საგნების მიხედვით კაბინეტები, რაც ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში.
უცხოური ენები	კლასებში არის პროექტორი, რაც ხელს უწყობს ციფრული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, რაც უცხოური ენის სწავლებაში მნიშვნელოვანია. ეს პირდაპირ კავშირშია სწავლის ისეთ შედეგებთან, რომელიც ციფრული წიგნიერების განვითარებას გულისხმობს და აუცილებელია მოსმენის, მეტყველების, აუდიო-ვიდეო მასალებთან მუშაობისთვის, რაც მნიშვნელოვანია კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებისთვის.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის სწავლა/სწავლების პროცესის სრულყოფილ და შემოქმედებით მიმდინარეობას, ასევე, საგნებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს სკოლაში არსებული მრავალფეროვანი მატერიალური რესურსი(ელექტრონული პიანინო, ხმის გამაძლიერებელი, პროექტორითა და ლეპტოპით აღჭურვილი ხელოვნების კლას-კაბინეტი).

სახელმწიფო ენა	სკოლის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა მრავალრიცხოვანი წიგნადი ფონდით, საკლასო ოთახები აღჭურვილია პროექტორით, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესში ციფრული რესურსების გამოყენებას.
მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის.
სპორტი	საჯარო სკოლაში მოსწავლეთა კონტიგენტიდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით და ინფრასტრუქტურით, რათა უკეთესათ წარიმართოს სასწავლო პროცესი მომავალში.
ტექნოლოგიები	სკოლის თანამედროვედ აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე რესურსები სრულებით ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული იკვეთება კურიკულუმებში, ასევე მასწავლებლის ინტერვიუში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა რეაბილიტირებულია და აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის.

2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში არსებული დასაქმებულთა პირადი საქმეები, ისევე როგორც e-school-ის ბაზა, ცხადყოფს, რომ სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

2.2.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **კათედრების ოქმები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **ინდივიდუალური გეგმები;**
- **შემაჯამებლი დავალებების ანალიზები;**
- **პროექტები და მათი ამსახველი მასალები;**
- **რემედიაციის პროგრამა;**
- **დასაქმებულთა პირადი საქმეები;**
- **ინვენტარიზაციის მასალები;**
- **E-school-ის ბაზა.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

დემინგის ციკლის პრინციპების გათვალისწინებით სკოლა აწარმოებს კურიკულმის მონიტორინგს და შეფასებას, ისე როგორც ეს აღწერილია მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. კათედრების მიერ შემუშავებულ სასწავლო წლიურ პროგრამას მონიტორინგს უწევს თავად საგნის პედაგოგი-სადიაგნოსტიკო წერებისა თუ შემაჯამებელი დავალებების ანალიზებისგან მიღებული მიგნებების საფუძველზე. სკოლის დირექცია, მენტორი მასწავლებელი და კათედრის წევრები კი ურთიერთ დასწრებებისა და ერთმანეთთან სასწავლო პროცესის განხილვაზე დაყრდნობით ახდენენ კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას.

2.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მრავალმხრივი მეთოდებით (სადიაგნოსტიკო წერები, საგაკვეთილო პროცესისას მასწავლებლების ჩანიშვნები თითოეულ მოსწავლეზე, ურთიერთდასწრების შედეგად გაკეთებული მიგნებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა თუ არაფორმალური განათლებისას მოგროვებული ინფორმაცია/მონაცემები სწავლა-სწავლების შესახებ მუშავდება იმისათვის, რომ მოხდეს აღმოჩენილი გამოწვევების გადაჭრის ეფექტიანი გზების მოძიება და ინტერვენციები კი აისახოს მომდევნო წლის სასწავლო პროგრამა-საგნობრივ კურიკულუმში.

2.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებელთა ინტერვიუებმა, ისევე როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, მოგვცა შესაძლებლობა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნა იმისათვის, რომ მომხდარიყო სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა. მაგალითად, ინგლისური ენის მასწავლებლის მიერ ერთ-ერთი კლასის საგაკვეთილო პროცესი დაიგეგმა იმგვარად, რომ მოსწავლეებს არა მხოლოდ ინგლისური ენის ჭრილში განევითარებინათ საკომუნიკაციო

უნარ-ჩვევები, არამედ, ზოგადად, მომხდარიყო თანაკლასელთა ცნობიერების ამაღლება და ემპათიის გრძნობის განვითარება მოულოდნელად აღმოჩენილ დიაბეტიანი თანაკლასელის ყოფის შემსუბუქების მიზნით.

სხვა და სხვა საგნის პედაგოგების მიერ წარმოდგენილმა შემაჯამებელი დავალებების ანალიზმა და ინტერვიუებმა გვიჩვენა, რომ დიაგნოსტირების შედეგად მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და მიგნებების შესაბამისად განახლდა სასწავლო პროგრამა, რათა მოხდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება სასწავლო პროცესში.

2.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა;
- სადიაგნოსტიკო დავალებების ნიმუშები;
- ფოტო-მასალა;
- საგნობრივი წლიური პროგრამა/საგნობრივი კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს, როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების სისტემას. ამას ცხადყოფს, როგორს სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად კი სკოლა იყენებს მრავალგვარ მეთოდს, როგორც ფორმალური - სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებლი თუ პროექტული შინაარსის მქონე აქტივობების/დავალებები, ისე არაფორმალური განათლების ინსტრუმენტებისას, როგორიცაა სასკოლო ოლიმპიადები-სპორტში, შემეცნებითი ექსკურსიები სხვადასხვა საგანში და წრეობრივი/კლუბური მუშაობები (ჭრა-კერვის კლუბი, თეატრალური დასი). მათგან მიღებული მონაცემები კი იძლევა მოსწავლეთა განვითარების გზის ასახვას მრავალი კუთხით.

2.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტზე დაყრდნობით. მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს, როგორც სასკოლო, ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე, რომ შესაბამისად მოხდეს მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად მოიაზრება არაფორმალური განათლება, სკოლაში ყველა საფეხურზე ხორციელდება სასწავლო საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი, სახელოვნებო თუ სპორტული მიმართულებით. განხორციელებული აქვთ სხვადასხვა სახის პროექტები, კომპლექსური დავალებები, გათვალისწინებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გამოვლენილი სიძნელეების დაძლევის მიზნით ალტერნატიული გზების შეთავაზება/რემედიაცია.

2.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. საგნობრივ სასკოლო პროგრამაში-საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მიდგომები, რადგან გვხვდება დიფერენცირებული სასწავლო პროექტებიც/კომპლექსური დავალებები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა კი შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.

სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ ახდენს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას. რაც გულისხმობს ტესტური დავალებების საფუძველზე მოსწავლეთა ცოდნა-უნარების შესწავლას. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის წლიური სასწავლო პროგრამის-კურიკულუმის განახლებას.

2.3.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს, როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას.

ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. განხორციელებული პროექტები გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ინტერვიურებისას სკოლის მასწავლებლებმა აღწერეს სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების აქტივობები, დეტალურად ისაუბრეს ამ პროექტის განხორციელების პროცესში სხვადასხვა კათედრების ინტეგრირებაზე, მოსწავლეთა შეფასებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აგრეთვე აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.

2.3.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **საგნობრივი წლიური პროგრამა/საგნობრივი კურიკულუმები;**
- **პროექტული დავალებების ამსახველი გეგმები, ფოტო მასალა;**
- **სკოლის facebook- გვერდი;**
- **წლიური სასწავლო გეგმა.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას გააჩნია მზაობა, რომ არსებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. კურიკულუმის განხორციელების პროცესი სრულად ეფუძნება დემინგის ციკლს. მასწავლებლები, დირექციის, მენტორი მასწავლებლისა (ინგლისური ენის მენტორი მასწავლებელი) და კათედრის წევრთა ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს, თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

2.4..1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა სკოლაში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის გაანალიზების შედეგადაც უკვე იხვეწება განვლილი სასწავლო წლის ბოლოს (ივნისში) შექმნილი საგნობრივი წლიური

პროგრამა- საგნობრივი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში; თემების განაწილება, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებებში მოაზრებული აქტივობების მოსწავლეთა განვითარების უახლოეს დონესთან შესაბამისობა და სხვა. იქმნება ინდვიდუალური სასწავლო გეგმები და ასევე იგეგმება რემედიაციისათვის სჭირო პროგრამა.

2.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი წლიური პროგრამები/საგნობრივი კურიკულუმები;**
- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;**
- **კათედრის ოქმები;**
- **რემედიაციისათვის შექმნილი პროგრამა;**
- **სადიაგნოსტიკო წერის ნიმუშები ქიმიაში.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი 21.07.25

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლელა გორდულაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თამთა კამკამიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ნინო გოგორელიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

გურამ ბურდილაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



მანანა როსტომაშვილი(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)